



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი

100108709501013

KA100108709501013

თბილისი

19 / სექტემბერი / 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/669

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით:

ა) სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) ზედამხედველობა დაევალოს სამინისტროს აპარატის შიდა პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნატო უდესიანი (მისი არყოფნის (მივლინება, შვებულება) შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანებით მის შემცვლელად განსაზღვრული პირი);

ბ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამინისტროს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი დიმიტრი კვარაცხელია (მისი არყოფნის (მივლინება, შვებულება) შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანებით მის შემცვლელად განსაზღვრული პირი).

2. სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მომზადებულ კორესპოდენციზე ხელისმომწერ პირად განისაზღვროს სამინისტროს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირინე გულიაშვილი (ირინე გულიაშვილის არყოფნის შემთხვევაში - აპარატის უფროსის მიადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნინო თოფურია, ირინე გულიაშვილისა და ნინო თოფურიას არყოფნის შემთხვევაში - სამინისტროს აპარატის შიდა პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნატო უდესიანი).

3. სამინისტროს სტრუქტურულმა ქვედანაყოფებმა მოკლე ვადაში უზრუნველყონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის წარდგენა, „საჯარო

ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართში მითითებული ნუსხის შესაბამისად.

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა (დ. კვარაცხელია) უზრუნველყოს ამ ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი ინფორმაციის სამინისტროს ელექტრონულ რესურსზე გამოქვეყნება არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

5. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელმა ავთანდილ მნელაძემ უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის (დ. კვარაცხელია) დახმარების გაწევა სამინისტროს ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაში, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

6. კონტროლი ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე დაევალოს სამინისტროს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ირინე გულიაშვილს.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გაცემის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 მარტის N01/150 ბრძანება.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



ზურაბ აზმაიფარაშვილი